განკარგულება:**გ-49.492605810**
თარიღი:**27/02/2026**

ქალაქ წყალტუბოში, N29.08.34.110 საკადასტრო კოდზე მდებარე ქალაქ წყალტუბოს N1 საბავშვო ბაგა- ბაღის და N29.14.38.110 საკადასტრო კოდზე მდებარე სოფელ გეგუთის N11 საბავშვო ბაღის ახლადაშენებული შენობა- ნაგებობების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 11 თებერვლის 48-4826042131 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას **ქალაქ წყალტუბოში, N29.08.34.110 საკადასტრო კოდზე მდებარე ქალაქ წყალტუბოს N1 საბავშვო ბაგა- ბაღის და N29.14.38.110 საკადასტრო კოდზე მდებარე სოფელ გეგუთის N11 საბავშვო ბაღის ახლადაშენებული შენობა- ნაგებობების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ.**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს **ქალაქ წყალტუბოში, N29.08.34.110 საკადასტრო კოდზე მდებარე ქალაქ წყალტუბოს N1 საბავშვო ბაგა- ბაღის და N29.14.38.110 საკადასტრო კოდზე მდებარე სოფელ გეგუთის N11 საბავშვო ბაღის ახლადაშენებული შენობა- ნაგებობების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ და შევიდეს ცვლილება** 2014 წლის 3 სექტემბრის ,,მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებასა'' და 2016 წლის 22 აგვისტოს ,, მუნიციპალური ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ'' N33 ხელშეკრულებაში.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი